დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

17.03.2023 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი -მირიან

გვარი -ებანოიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245 428 158

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფილოსოფია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
3	კვალიფიკაციის დონე[2]	7
4	კვალიფიკაციის დასახელება	-ფილოსოფიის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	ფილოსოფია და ეთიკა - 0223
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
9	განხორციელების ადგილი[5]	6010, საქართველო, ბათუმი,

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

		ნინოშვილის ქ. 35, უნივერსიტეტის I კორპუსი.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული. გადაწყვეტილების თარიღი: 12. 01. 2022. გადაწყვეტილების ნომერი - 76908
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	12. 01. 2022
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	ანგარიშის წარმოდგენის ვადა ერთი წელი, 2023 წლის 12 იანვარი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	12. 01. 2029

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**v**			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		v		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	v			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	v			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	v			

შესასრულებელი **რეკომენდაცი(ებ)ი**[6]

1. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების ის დანართები, როგორიცაა კურიკულუმის რუკა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან ბმის რუკა, რომლებშიც სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად მოცემულია ასევე არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას და კვალიფიკაციის მინიჭებას, აქედან გამომდინარე, მათი ასახვა ამ დოკუმენტებში არარელევანტურია;

2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად;

3. რეკომენდებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები;

4. შეფასების გამჭვირვალობის და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია გაიწეროს რა პრინციპით ხდება ქულათა მინიჭება მისაღებ გამოცდაზე;

6

5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები; რეკომენდებულია ასევე განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა;
რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ვადები შესაბამისობაში მოვიდეს კანონმდებლობასთან;

7. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა) და მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ბაზების გამოყენებას თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით დასტურდება, რომ განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდისთვის ქულათა მინიჭების პრინციპი [იხ. დანართი 1]. აღნიშნული პრინციპის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იქნა „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. (მუხლი 5, მუხლი 14) [იხ. დანართი 2].

პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გათვალისწინებულია შენიშვნები, რომლის მიხედვით სტუდენტის შეფასების პროცესში იქნება დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა. ცალკეულ სილაბუსებს დაემატა ტექსტის ანალიზის წერითი უნარის შეფასების რუბრიკა, წარმოდგენილია შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები. [იხ.გრაფა: „ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები“ დანართი 3]

არ ჩანს წარმოდგენილ ანგარიშში გადაიხედა თუ არა კურიკულუმის რუკა და არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას და კვალიფიკაციის მინიჭებას(1),, ასევე, არ დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად(2); არ არის გამოკვეთილი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს გაეწევათ თუ არა დამატებითი კონსულტაცია, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ

მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა), ასევე, ეთმობა თუ არა მეტი ყურადღება სამეცნიერო ბაზების გამოყენებას თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით(7), ასევე, გაფარდოვდა თუ არა შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდა თუ არა კვლევაში მონაწილე სუბიექტები(3);

ანგარიშის მიხედვით, პროგრამა ითვალისწინებს და მისდევს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 3 ივნისის დადგენილებას „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ მუხლ 16-ს, რომლის მიხედვითაც სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - საჯარო დაცვაზე დასკვნითი შეფასებით, 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს რეცენზენტის შეფასებას - მაქსიმუმ 40 ქულას და საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას - მაქსიმუმ 60 ქულას (შეფასების აქტი ივსება წინამდებარე წესის N3 ფორმის შესაბამისად). სამაგისტრო ნაშრომი ფასდება შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების/რუბრიკების მიხედვით (სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებში ყურადღება უნდა გამახვილდეს: კვლევის/პრობლემის აქტუალურობაზე; მიღებული შედეგების მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებაზე; ნაშრომის აკადემიური დონესა და მაგისტრანტის პრეზენტაციის უნარზე; აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვაზე; გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობაზე; ნაშრომის გაფორმების აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობაზე).

მუხლი 16.19-ის მიხედვით: სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს უარყოფითი შეფასება (0-50 ქულის ფარგლებში) შემდეგი 2 სახის შეფასებიდან: ა) (FX) ვერ ჩააბარა (41-50 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე; ბ) (F) ჩაიჭრა (0-40 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. წესის 16.20 პუნქტის თანახმად - ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობითა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო კომპონენტის შესრულების შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და საჯარო დაცვის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს საპატიო მიზეზით (ბსუ-ს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა), ერთი სემესტრით, სტუდენტის დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე. წესში აღნიშნული ჩანაწერი გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევისათვის, როცა სტუდენტისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, სტუდენტს არ მიეცემა საშუალება სწავლების მე-4 სემესტრში დარეგისტრირებული კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი -

შეასრულოს ამავე სემესტრში და ამიტომ არის ჩანაწერი იმის თაობაზეც, რომ მომდევნო სემესტრში დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გარეშე ექნება სტუდენტს შესაძლებლობა დაარეგისტრიროს ან/და დაასრულოს მუშაობა სამაგისტრო ნაშრომზე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დასახელებით, იმავე აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელმძღვანელობით (ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში - სხვა პირის ხელმძღვანელობით). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, თუ სტუდენტი სწავლების მე-4 სემესტრში ვერ დაასრულებს ან დაასრულებს, მაგრამ ვერ გამოცხადდება ნაშრომის საჯარ დაცვაზე, სტუდენტს, მისივე განცხადების საფუძველზე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ეძლევა შესაძლებლობა ნაშრომი წარადგინოს/დაიცვას მომდევნო სემესტრში, ასეთ შემთხვევაში ის ვალდებულია გაიაროს დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაცია. [იხ. დანართი 2]. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის **შეფასების ვადები** შესაბამისობაში მოვიდა კანონმდებლობასთან;

რჩევ(ებ)ი[8]

1. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა;

2. სასურველია პროგრამის მიზნების ლაკონურად ფორმულირება;

3. სასურველია დაზუსტდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა;

4. სასურველია პროგრამის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით პროფესიული ინგლისური, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსების შემდეგ, გადმოტანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში;

5. სასურველია რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები ფორმულირდეს გაზოვადი

ზმნებით;

6. სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება;

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

7. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით;

8. საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით,

სასურველია მეტად გაძლიერდეს საერთაშორისო სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

9. სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება მათი დაინტერესების მიზნით;

10. სასურველია სათანადოდ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა განმავითარებელი

უკუკავშირი, მიმდინარე აქტივობებზე, შუალედურ და საბოლოო გამოცდებზე;

11. სასურველია ფაკულტეტის მხრიდან გააქტიურდეს კონფერენციებისა და ტრენინგების დაგეგმვა დისტანციურ ფორმატში ან/და კოვიდ რეგულაციების დაცვით;

12. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისა და

განვითარებისათვის საჭირო ხარჯები;

13. სასურველია გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები;

14. გაუმჯობესდეს განმავითარებელი უკუკავშირის ხარისხი; ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის მიერ მოხდეს ამ საკითხის მონიტორინგი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

ანგარიშის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელები და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები ითვალისწინებენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის დასკვნით პროექტში მითითებული რჩევების ნაწილს. ანგარიშის მიხედვით. უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულები გააკონტროლებენ აღნიშნული რჩევების შესრულებას, მითითებების განხორციელება მოხდება ეტაპობრივად რჩევების სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის ხელმძღვანელები მუშაობენ პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულების ინგლისურ ენაზე მომზადებისა და

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

განხორციელებისთვის. იკვლევენ ბაზარს მომავალი პერსპექტივის გათვალისწინებით. რჩევები ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის ნათლად ჩამოყალიბებას, თუმცა, განხორციელდა თუ არა პროგრამის მიზნების ლაკონურად ფორმულირება წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა აჩვენებს როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი [იხ. დანართი: 4]. მიუხედავად ამისა, არ ჩანს, ითვალისწინებენ თუ არა რჩევას, პროფესორ-მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა შეცვალონ დასკვნითი და შუალედური გამოცდის ქულების გადანაწილება;

დამატებითი ინფორმაცია[10]

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების შესახებ ანგარიში განხილულია ფილოსოფიის დეპარტამენტის სხდომაზე (ო ქ მ ი № 13. 24. 11.2022). ამონაწერი ოქმიდან ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე განხილული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე (ოქმი №22-05/12) [იხ. დანართი: 7]. ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №06-01/142 13.12. 2022 დადგენილებით [იხ. დანართი: 8].

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1,5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია I[14]	1. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების ის დანართები, როგორიცაა კურიკულუმის რუკა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან ბმის რუკა, რომლებშიც

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად მოცემულია ასევე არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას და კვალიფიკაციის მინიჭებას, აქედან გამომდინარე, მათი ასახვა ამ დოკუმენტებში არარელევანტურია;
შეფასება	არ არის წარმოდგენილი ანგარიშში
სტანდარტის დასახელება[15]	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
	1.2 სწავლის შედეგების გაზომვადობა
	2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად;
შეფასება	არ არის წარმოდგენილი ანგარიშში
სტანდარტის დასახელება[16]	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
	3. რეკომენდებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები;
შეფასება	არ არის წარმოდგენილი ანგარიშში
სტანდარტის დასახელება[17]	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია, პროგრამის ათვისების შეფასების ადექვატურობა
კომპონენტის დასახელება[18]	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია I[19]	შეფასების გამჭვირვალობის და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია გაიწეროს რა პრინციპით ხდება შეფასება - ქულათა მინიჭება მისაღებ გამოცდაზე.
შეფასება	რეკომენდაციის შესაბამისად გაიწერა პრინციპები: მისაღები სამაგისტრო გამოცდა ფილოსოფიაში ტარდება წერითი ფორმით. ბილეთში

[15] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[16] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[17] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[18] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მითითებულია ვებ-გვერდზე განთავსებული წინასწარ ჩამოთვლილი თემები. თემები ექვემდებარება ყოველწლიურ განახლებას. მითითებულია აგრეთვე ტექსტები და დამატებითი ლიტერატურა. მაგისტრანტობის კანდიდატი დამატებით ლიტერატურას ირჩევს თავად, მათ შორის უცხო ენაზე. მისაღები გამოცდა ფასდება 100 ქულიანი სისტემით.საგამოცდო ბილეთებში მოცემული იქნება კითხვები, თეორიული საკითხები და თემები დანართში მითითებული კრიტერიუმებით, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას და ობიექტურობას.
რჩევა[20] I	გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი სასაზღვრო რეგიონში იმყოფება და გლობალურად არის გაზრდილი ინტერესი პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით კარგი იქნებოდა თუ ეს მიმართულება ინგლისურ ენაზე მომზადდება . მით უმეტეს ამის რესურსი საგანმანათლებო პროგრამას გააჩნია.
შეფასება	გაზიარებულია რჩევა - პროგრამაში პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულება ინგლისურ ენაზე მომზადდება და განხორციელდება.
მტკიცებულებ(ები)ა	იხ. დანართი: [1]

სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია II[21]	რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.
შეფასება	რეკომენდაციის საფუძველზე შესწორებულია

[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	თითოეული სასწავლო კურსის შეფასების რუბრიკები და შეფასების კრიტერიუმები, განსაკუთრებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული სილაბუსები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში დაცული იყოს ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.
რჩევა[22] II	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მოთხოვნის შესაბამისად გაიწეროს როდის, ვის მიერ და სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი.
შეფასება	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში (რუკა 4) გათვალისწინებულია მითითებული რჩევა და შესაბამისად წარმოდგენილ დოკუმენტში გამოკვეთილია როგორც შეფასების მეთოდები, ისე შეფასების პასუხისმგებლობის პირი და დრო, თუ როდის განხორციელდება კონკრეტული შედეგის შეფასება.
მტკიცებულებ(ები)ა	დანართი: [2.] დანართი [4]
სტანდარტის დასახელება	სტანდარტი 3. სწავლების მეთოდოლოგია, პროგრამის ათვისების შეფასების ადექვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია III	რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ვადები შესაბამისობაში მოვიდეს კანონმდებლობასთან.

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ვადები შესაბამისობაში მოვიდა კანონმდებლობასთან, კერძოდ, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 3 ივნისის დადგენილებით მუხლი 16.18-ის მიხედვით: სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს დადებითი შეფასება (51-100 ქულის ფარგლებში) შემდეგი 5 სახის შეფასებიდან: ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; გ) (C) კარგი –71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა. მუხლი 16.19-ის მიხედვით: სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს უარყოფითი შეფასება (0-50 ქულის ფარგლებში) შემდეგი 2 სახის შეფასებიდან: ა) (FX) ვერ ჩააბარა (41-50 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე; ბ) (F) ჩაიჭრა (0-40 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. ახალი დადგენილების თანახმად დაცვის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს საპატიო მიზეზით ერთი სემესტრით, სტუდენტის დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე. წესში აღნიშნული ჩანაწერი გათვალისწინებულია შემთხვევისათვის, როცა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, სტუდენტს არ მიეცემა საშუალება სწავლების მე-4 სემესტრში დარეგისტრირებული კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი - შეასრულოს ამავე სემესტრში, ამიტომ მომდევნო სემესტრში დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გარეშე სტუდენტს შეუძლია დაარეგისტრიროს ან დაასრულოს მუშაობა სამაგისტრო ნაშრომზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დასახელებით, იმავე აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელმძღვანელობით (ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში - სხვა პირის ხელმძღვანელობით). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, თუ სტუდენტი სწავლების მე-4 სემესტრში

	ვერ დაასრულებს ან დაასრულებს, მაგრამ ვერ გამოცხადდება ნაშრომის საჯარო დაცვაზე, სტუდენტს, მისივე განცხადების საფუძველზე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ეძლევა შესაძლებლობა ნაშრომი წარადგინოს/დაიცვას მომდევნო სემესტრში, ასეთ შემთხვევაში ის ვალდებულია გაიაროს დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაცია. [იხ. დანართი 2]. ვთვლი, რომ შესრულებულია რეკომენდაცია.
მტკიცებულება	[იხ. დანართი: 2] ანგარიშში წარმოდგენილია ბსუ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დადგენილება 39) მუხლი 16.20,
სტანდარტის დასახელება[23]	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

[23] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

	3.1 სტუდენტთა საკონსულტავიო და მხარდამჭერი სერვისები
	7. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტებს დამატებით კონსულტაცია გაეწიოთ, რათა ნაშრომები ეფუძნებოდეს თემის გარშემო არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა) და მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო ბაზების გამოყენებას თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით.
შეფასება	არ არის წარმოდგენილი ანგარიშში

ანგარიშში არ არის ასახული ოქმში წარმოდგენილი სხვა რეკომენდაციები და რჩევები.

თანდართული დოკუმენტაცია[24]

თანდართული დოკუმენტაცია

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდის ბილეთის სტრუქტურა და ქულათა მინიჭების პრინციპი - იხ. დანართი: 1. [4 ფურცელი]

ბსუ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ – 111 დადგენილება [იხ. დანართი:2] [29 ფურცელი]

სასწავლო კურსის სილაბუსები (სულ: 11 სილაბუსი) - იხ. დანართი: 3 [113 ფურცელი]

სწავლის შედეგების შეფასების რუკა - იხ. დანართი: 4 [6 ფურცელი]

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა - იხ. დანართი: 5 [4 ფურცელი]

დეპარტამენტის სხდომის ოქმი - იხ. დანართი: 6 [4 ფურცელი]

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი - იხ. დანართი 7 [5 ფურცელი]

[24] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ფილოსოფია“ ცვლილებების შეტანის შესახებ - იხ. დანართი 8 [2 ფურცელი]



ექსპერტის ხელმოწერა: